# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 360 ხუთშაბათი 10 ნოემბერი 1905 წ. გაზეთის № 3946.

„ვოზროჟდენიე“-ს რედაქცია, 22 ოქტომბერს აკლებული



# ჩინოვნიკი

ანუ

### დიმიტრი იაგორიჩის მდგომარეობა

დიმიტრი იაგორიჩმა თვალი გაალო, ლოგინში გაიშმუშვნა და მეორე გვერდზე გადაბრუნდა. მერე იქვე პატარა მაგიდას დაწვდა და საათი აიღო.

— ბიჭოს, ცხრა საათი გამხდარა! რამდენს ხანს მძინებია! ბიჭოს, რა ღმერთი გაუწყრა, რომ არ გამაღვიძა? სიმონ, ეი, სიმონ!

გასძახა ბიჭს, მაგრამ ხმა არავინ გასცა.

— სიმონ! დაყრუვდი, ბიჭო? ფეხსაცმელები შემომიტანე, გაშუადღევებულა, შე ყურუმსალო, ველარ გამაღვიძე?!

ხმა კიდევ არავინ გასცა.

— სიმონ მეთქი! — დაიყვირა და წამოიწია ლოგინიდან — რა ღმერთი გაუწყრა, ხომ არ დაიხრჩო?

წამოდგა, იქვე სალამური ხალათი ჩაიცვა, წუღებში ფეხი ჩადგა და კაბინეტში გავიდა. იქიდან სამზარეულოში შეიხედა. ბიჭი არც იქ იყო.



— სად წავიდა, ნეტა?

შემობრუნდა. ცოტა ხანს კიდევ იცადა.

— რა ვქნა, სამსახურში მაგვიანდება, შენიშვნას მივიღებ უთუოდ...

ფეხსაცმელები მოძებნა, იქვე ეწყო გაუწმენდელი.

— ამ ბიჭს რა ღვთის რისხვა მოუვიდა! უთუოდ დავითხოვ, უთუოდ. ჯავრობდა და გულმოსული იცვამდა.

კიდევ გავიდა სამზარეულოში.

— არც ჩაი დაუდგამს, არც რძე მოუტანიათ.

გაჯავრებული გამობრუნდა და სახლის პატრონს მოხუც დედაკაცს დაუძახა.

— სად წავიდა ჩემი ბიჭი, თუ იცით?

— არ ვიცი — უთხრა სახლის პატრონმა.

— დასწყევლოს ღმერთმა! — არც ჩაი მოუმზადებია, არც ცეცხლი აუნთია, ისე გავარდნილა სადღაც.

— ჩაის მე გამოგიტანთ, თუ გნებავთ.

— არა, მაგვიანდება სამსახურში.

შებრუნდა სახლში, ჩაიცვა პალტო, ქუდი აიღო და წავიდა. გარედ რომ გამოვიდა, ნიავმა დაჰკრა და მადა გაუღვიძა.

— კიდეც მშიან, ასე როგორ წავიდე სამსახურში? არა კანდიტერში შევალ სადმე და ყავას დავლევ — იფიქრა და განაგრძო გზა.

გაიხედა, არც ერთი დუქანი არ იყო ღია.

— ხორველამ ხომ არ გაწყვიტა ეს ხალხი!

ქუჩაში მოძრაობა შეწყვეტილიყო. არაფრის ჰაჰანება არ იყო. არც სჩანდა ეტლები, არც დროგები და სხვა რამ. დიმიტრი იაგორიჩი თავ-დახრილი მიდიოდა და ფიქრში სიმონაზე იყო გაჯავრებული.

— კბილებს დავამტვრევ, როგორც კი დავბრუნდები. დავითხოვ, ჯამაგირს დავუჭერ. ეს თვე დღეს აგერ ოცია, მიზეზი კარგი ვიშოვე! თხუთმეტი მანეთი ხუმრობა არ არის...

რაღაცა მოაგონდა და შედგა, მიბრუნდა ერთ ალაყაფის კარებისაკენ, ისევ შედგა და გამობრუნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



—აქეთობას შემოვივლი,—გაიფიქრა.

იქ თერძი აყო, დიმიტრი იაგორიჩს ტანისამოსი ჰქონდა მიბარებული. უნდა ხვალისთვის მოუსწროს. ხვალ ნადიას დღეობაა, ძველი ტანისამოსით ხო არ წავა! ნადიაზედ აგერ სამი წელიწადი მოდის, დანიშნულია.

ეხლა ნადიაზედ გადავიდა ფიქრით.

—რა კარგი გახდა, როგორ გაიფურჩქნა! თან-და-თან მშვენდება, მაგრამ რა ჩემი უბედურებაა: რაც დრო გადის, რაღაც სხვა თვალით მიყურებს, თითქოს აღარ მოვწონვარ, სადაც შემხვდება, გამირბის, პირს მარიდებს. ნუ თუ სცხვენია? უთუოდ სცხვენია. უფრო ბავშვი, რომ იყო მაშინ არა რცხვენოდა? მაშინ არ იცოდა, რა იყო სირცხვილი, ნამუსი, ეხლა ჰკუიანია და რცხვენიან, —იმშვიდებდა დიმიტრი იაგორიჩი თავს. რომ არ წამომყვეს? როგორ შეიძლება არ წამომყვეს, ხუმრობა—კი არ არის, იმდენი მაქვს იმაზე დახარჯული, თავად-კი არა ფერი მიაქვს, მაგრამ, სულ ერთია დედა მისი ხომ მართმევს! რომ არ წამომყვეს ძალით ვიცხოვ: დედ-მამა ხომ მაძლევს, მორჩა და გათავდა!

ამ ფიქრებით თავის დაწესებულების კიბეს მიუახლოვდა. ვერ შეამჩნია, წაჰკრა ფეხი, წაიბარბაცა, კედელს მიაწყდა და ცოტაც აცდა, ცხვირი არ გაიტეხა. ცხვირზე ცხვირ-სახოცი მიიფარა და არავისთვის სალამი არ მიუცია, ისე შეცუნცულდა თვის განყოფილებაში.

დიმიტრი იაგორიჩი ტუპაძე ჩინოვნიკი იყო· დიდი ხანია გაეთავებინა საქალაქო სასწავლებელი. იმისი მამაც რაღაც ჩინოვნიკი ყოფილიყო, ემაცადინა აქეთ-იქეთ და თავისი შვილი მწერლათ მიელებინებინა. დიმიტრის არც დედა ჰყავდა. არ სხვა მახლობელი. შორეულ ნათესავებში არ დადიოდა.

— მე მაქვს საქმე ჩემ სამსახურთან; ჩემი უფროსი მყავდეს მადლიერი, იმისი რისხვა და წყრომა არ მივიღო და დანარჩენებს მე არ გავდევ...

როცა თავის კანცელარიაში იჯდა, თავ-აუღებლივ მუშაობდა; რასაც ეტყოდა უფროსი, დავალებულზე უკეთესად შეასრულებდა· სუფთად გადასწერდა, ცნობებს ამოჰკრეფდა ანგარიშს შეადგენდა,—ყოველივე ეს იმისი საქმე იყო. დილას რომ არავინ არ იყო სამსახურში, დიმიტრი აქ დაიბადებოდა. უფროსის მაგიდას თავად ალაგებდა, მოსამსახურეებს არ აცლიდა. ქაღალდებს, საწერ-კალამს ყველაფერს ლამაზად დაულაგებდა. მთელი დღე ქუჩაში არ გაიხედავდა, ჩასჩერებოდა ქაღალდებს ან უფროსს უყურებდა წარბებში, ხომ არაფერი ვაწყენინეო. სამსახური გათავდებოდა, გამოვიდოდნენ. უფროსს პალტოს ჩაცმას შველოდა, გზა-გზა ფეხ-აკრეფით მიჰყვებოდა, სანამ უფროსი თავის გზაზე არ გადაუხვევდა. სამუშაო სახლშიაც მოჰქონდა და დღე და ღამე თავს აკლავდა· ამხანაგები დასცინოდნენ.

— ეგრე რად იმცირებ თავს და ფეხებს რად ულოკავ უფროსსაო.

— ჩემი საქმე მე ვიციო,—მიუგებდა დიმიტრი.

თვისება არავისთან არ ჰქონდა. ამგვარის ქცევით უფროსს თავი შეაყვარა. მალე დაწინაურდა, ამაღლებას ამაღლება მოჰყვა და ჩქარა ყვითელი კაკარტა გაირტყა შუბლზე, ვიწრო მხრები ყვითელ ეპოლეტებით დაიმშვენა. არ გაუვლია ამის შემდეგ დიდ ხანს, რომ დიმიტრის მხრებზე აღმობრწყინდა ორი მნათობი ვარსკვლავი. მალე ეპოლეტებზე აღინიშნა ორი ზოლი, რომელიც გზას უჩვენებდა ორ ვარსკვლავს, რომ კიდევ წაეწია წინ. დიდი კაცი გახდა, ეხლა თვითონა ჰყავს ხელ-ქვეითები, მაგრამ თავისი ჩვეულება ვერ დაეტოვებინა: უფროსის წინაშე ეხლაც ტყდებოდა წელში, თავს ჰხრიდა, სიტყვა უწყდებოდა, ხელების კანკალით სერთუკს ისწორებდა, მეტ სიტყვას არ იტყოდა, გარდა პასუხისა. ხელ-ქვეითთან კი სრული ბატონი იყო, ფეხებს უბაკუნებდა, სულ მრისხანედ

## მიტინგები სხვადასხვა პარტიებისა ტფილისში.





გამოიყურებოდა და ხმას ბრძანებლობის კილოს აძლევდა. ყველა ამასთან ერთად ჟურნალ-გაზეთებისა ისე ეშინოდა, როგორც გადამდებ სენისა.

— გაზეთები რყვნიან კაცს, სამსახურზე გულს უცრუე-ბენ. ეს ახალგაზრდა ბიჭები სულ გაზეთებმა გააფუჭეს: უმც-

ლივე დაწყნარდა. დიმიტრი გაუნძრევლად ზის, უაზრო თვა-ლები ქაღალდზედ დაუშტერებია და სწერს. შიმშილი დაა-ვიწყდა, გატაცებით მიეცა შრომას. უეცრად ცა მოიღრუბ-ლა, ქარმა შემოჰბერა და მტვერი მიაყარა ფანჯრებს. დიმი-ტრიმ თავი ასწია.









როსი არ იციან და უფ-როსი. მე თუ გაზეთები არ მიკითხავს, ვერ ვიშოვე მა-ღალი თანამდებობა! — ის-ყოდა ხოლმე.

სამსახურში არც ჩაის დალევდა და არც ისაუ-ზმებდა.

— ეს ლაწირაკობა და თავის დამცირებაა! — ხში-რად ამბობდა.

იმ დღეს შიმშილმა შეა-წუხა, მაგრამ შერცხვა, ჩვე-ულება როგორ დავარღვი-ოვო, და დარჩა ისე. შიმ-შილი უჭერდა, საათები საუკუნოებად ეჩვენებოდა, ჩქარებოდა სახლში წასვ-ლა და სვიმონის მომზადებულ სადილის შექცევა. პირველი საათი რომ გახდა, მეზობელ განყოფილებებში რაღაც არეუ-ლობა და ხმაურობა ასტყდა. ჩქარი მიმოსვლა, კარების რა-ხუნი, თითქოს სამსახურიდან გადიანო. დიმიტრიმ საათს დაჰხე-და. პირველია, ჯერ ადრეა. ისევ კალამს მოჰკიდა ხელი და დაუწყო წრიპინი ქაღალდზე. მთელ დაწესებულებაში ყოვე-



— ფუი ეშმაკს! — გა-დააფურთხა და საათს და-ჰხედა.

უკვე სამი საათი გამხდა-რიყო. წამოდგა, უჯრები დაკეტა და გავიდა. გამო-იარა ერთი ოთახი, მეორე, მესამე, არსად კაცი არა სჩანს. ჩავიდა ქვევით, მი-ვიდა პალტოს ასაღებად, მხოლოდ მისი პალტო და ქუდი-ღა ეკიდა.

— რა ღმერთი გა-სწყრომიათ, როგორ ყვე-ლა გახვეწილა, აღარც შევიცრები!

კოკის პირულათ წვიმა მოდიოდა კარებში.

— Извощикъ! — დაიძახა, გავიდა თუ არა ქუჩაში. ეტლები ჩვეულებრივად აღარ იდგა.

— სწორედ ვერ გამიგია, რა ამბავია! — წაიბუტბუტა.

პალტოს საყელო ამოიწია, ქუდი ჩამოიფხატა და გასწია ჩქარის ნაბიჯით.

— რა ამბავია! — ფიქრობდა. — უქმე არ არის, ყველაფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი დაუკეტიათ, მოსამსახურეები ასე ადრე გასულან, დიდი კაცი ხომ არავინ მოდის ნეტა?

გზაზე ტანისამოსის მკერავთან შეუხვია. მკერავი მარტოკა იყო სახელოსნოში. დიმიტრის შესვლაზე ფეხზე წამოდგა.

— აბა, მზადა გაქვთ ტანისამოსი?—ჰკითხა დიმიტრიმ.

— არც ხვალ იქნება მზად,—მიუგო თერძმა.

— Что такой? როგორ თუ არ იქნება?

— ესე გახლავთ, არ იქნება...

— რა მიზეზით? მაშ ხვალ ძველი ტანისამოსით წავალ? მაშ რათ კისრულობთ, თუ არ შეგიძლიათ დროზე მოსწრება?—ყვიროდა დიმიტრა.

— თქენი ყვირილი აქ სრულებით უადგილოა, შეგიძლიანთ დაბლა ილაპარაკოთ და მიზეზი გაიგოთ: მუშებმა მუშაობაზედ ხელი აიღეს ამ დილით და მე საიდან უნდა გამეთავებინა თქვენი ტანისამოსი?

— როგორ თუ ხელი აიღეს?

— გაიფიცნენ.

— როგორ თუ გაიფიცნენ

— გაფიცვა არ იცით, რა არის? თქვენს სამსახურშიაც ხომ გაიფიცნენ. დღეს პირველ საათზე არ აიღეს ხელი მუშაობაზედ? თუ თქვენ არც-კი გაგიგიათ?

დიმიტრი იაგორიჩს შერცხვა: სამსახურში რაღაცა მომხდარა და იმას-კი არა გაუგია-რა.

— როგორ არა, როგორ არ ვიცი. ვიცი... მაგრამ. ჩემი ტანისამოსი? ჩემი? მე... მე... მე რა საქმე მაქვს. მე...

— მარტო თქვენი ხომ არ არის, თქვე დალოცვილო.—უთხრა მკერავმა.—თქვენისთანა რამდენია დარჩენილი.

— მაშ როდის იქნება მზად?

— როცა გაფიცვა გათავდება და მუშაობას დაიწყებენ.

დიმიტრი გამობრუნდა და წავიდა. მოდის და თან ფიქრობს:

— გაფიცვა... გაფიცვა. ეშმაკმა იცის მაგათი თავი და ტანი. რას არ მოიგონებენ! მყუდროებას და მშვიდობიანობას არღვევენ. აკი სამსახურშიაც ასტეხეს პირველ საათზე ხმაურობა...

დიმიტრი შინ მივიდა, სახლში არც სადილი დაჰხვდა და არც სიმონი. ძალზე გაცეცხლდა. გამოტრიალდა საჩქაროდ და მახლობელ რესტორანისკენ გასწია, რომ ცოტა რამ შეეჭამა და სული მოებრუნა. კარებთან სასტუმროს პატრონი დაჰხვდა.

— ვინა გნებავთ?

— სადილი მინდა!—სთქვა დიმიტრიმ.

— არაფერი არა გვაქვს.

— როგორ თუ არა გაქვთ? რესტორანში სადილი არ იყოს?!

— მოსამსახურეები გაიფიცნენ.

დიმიტრიმ პირი დააღო.

— აქაც, აქაც გაიფიცნენ?!

— ყველგან, ყველგან, მთელი ქალაქი გაფიცულია.

— ღმერთო ჩემო.—შესძახა გაბრაზებით დიმიტრიმ; ან რამ დააგიჟათ ეს ხალხი? მთავრობა და პოლიცია რატომ ზომას არ მიიღებს; დღეს დილით ჩემი ბიჭიც სადღაც გადაიკარგა... დამაცადოს, ადგილიდან დავითხოვ!

— ვერ დაითხოვთ.—უთხრა სასტუმროს პატრონმა.

— ჩემი ბიჭებიც გაფიცულნი არიან, მაგრამ ვერც ერთს ვერ დავითხოვ. ვერა ხედავთ, მთელი მაღაზიები დაკეტილია, თითქმის სახელმწიფო დაწესებულებაშიაც არ არის მუშაობა, ყველას დაითხოვენ?

— მაშ შიმშილით უნდა დავიხოცოთ? რა უნდათ, რა ამ გაფიცვით, თუ რაღაც მათი ქარცეცხლით?

— დღემდის თხოულობდნენ ჯამაგირების მომატებას, პირობების გაუმჯობესებას, დღეს თხოულობენ სრულ თავისუფლებას.

— ცეცხლს მიუმატებ მე ჩემს ბიჭს, კარგათ გავანთავისუფლებ, ვაყურებინებ სეირს, ციხეში ჩავსვამ, я ему покажу, ეს მაშენიკები, გაირყვნა ხალხი, დაიქცა ქვეყანა. ყვიროდა დიმიტრი, სიბრაზით თვალებს აბრიალებდა, პირიდან დორბლს ჰყრიდა და უგზო-უკვლოთ მურლუნით მირბოდა, თითქოს ვისმეს ეძებს, რომ ცემოს და შიმშილის ჯინი ამაზედ იყაროსო.

მ. გარიყული.




გენერალი ტრეპოვი.— ვწუხვარ, ვწუხვარ, რომ ჩემი სიტყვები „პატრონებს ნუ დაზოგავთ“ ვერ შევასრულე! რამდენი ტყვია დამრჩა გაუსროლელი?!

რედაქტორ-გამომცემელი ალ. გ. ჯაბადარი